# გურულებს თავიანთი უფლებების დასაცავად ქუთაისში ჩასვლა აღარ დასჭირდება

## ქალაქ ოზურგეთში სახალხო დამცველის გურიის წარმომადგენლობა გაიხსნა

**ალიონი.** 16 ივნისს ქალაქ ოზურგეთში დავით აღმაშენებლის №9–ში საქართველოს სახალხო დამცველის გურიის წარმომადგენლობა გახსნა თვით ომბუდსმენმა, ბატონმა **უჩა ნანუაშვილმა**, რომელსაც თან ახლდნენ სახალხო დამცველის აპარატის სხვა პასუხისმგებელი პირები. ნანუაშვილის თქმით ეს უკვე საქართველოს რეგიონებში რიგით მერვე ოფისია. ომბუდსმენმა გურიის გუბერნატორს, ბატონ **გია სალუქვაძეს,** ქალაქ ოზურგეთის მერს, ბატონ **ბეგლარ სიორიძეს,** ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების წარმომადგენლებს წარუდგინა ახალგახსნილი ოფისის ხელმძღვანელი **მაკა მალაყმაძე.**

სახალხო დამცველის გურიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის **მაკა მალაყმაძის** მოკლე **CV** ასე გამოიყურება:

**განათლება:** 1998–2002 წწ. – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, ჟურნალისტიკის სპეციალობით, ბაკალავრის ხარისხი

2005 წელი –– საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი – **GIPA**, მაგისტრის ხარისხი მედია მენეჯმენტის სპეციალობით.

**სამუშაო გამოცდილება:**

წლების განმავლობაში სხვადასხვა ბეჭდური და ონლაინ გამოცემები: გაზეთი "ბათუმელები" (სამართლისა და ადამიანის უფლებების განხრით);

**Georgia Today** – კორესპონდენტი აჭარაში; ინტერნეტ გამოცემა– **tspress**-ჟურნალისტი ბათუმიდან; 2006 წლიდან 2014 წლამდე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის" აჭარის ფილიალის ხელმძღვანელი.

2014 წელს სახალხო დამცველის ოფისთან არსებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტი;

2003 – 2014წწ. – დამკვირვებელი ყველა ჩატარე-



ბულ არჩევნებზე, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან: „ადამიანის უფლებათა ცენტრი"(**HRIDC**); „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" (**ISFED**)

2010 წლის მარტი: – ევროკავშირის პროექტის– „ახალგაზრდა ევროპელი" ფარგლებში, ვიზიტი ბრიუსელსა და სტრასბურგში.


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №46 (10136), 16 ნოემბერი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.


# ჯუმათში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია დაიწყო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუმათში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია დაიწყო. მიმდინარეობს მიწისქვეშა სამუშაოები, მაღალი ხარისხის პოლიეთილენის მილების მონტაჟი, სათავე ნაგებობის, სატუმბო სადგურებსა და რეზერვუარების მოწყობა.

სოფლის სასმელი წყლით უზრუნველყოფა სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად ადგილობრივმა მოსახლეობამ მთავარ პრიორიტეტად დაასახელა. სარეაბილიტაციო სამუშაოებს გასულ პარასკევს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე დაესწრო.

„ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი პროექტი, რომლისგანხორციელება ჯუმათის ტერიტორიული ერთეულის წყალმომარაგების პრობლემასსაბოლოოდ მოხსნის. სამუშაოების ნაწილი მიმდინარე წელს, ხოლო ნაწილი 2016 წლისთვის დასრულდება. მომავალი წლიდან ჯუმათის ტერიტორიულ ერთეულში სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაც დაიწყება," - აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

ჯუმათის წყალმომარაგების პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება. სამუშაოების სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1 085 000 ლარს შეადგენს. სამშენებლო სამუშაოებს კომპანია „ ბილდინგ დეველოპერი" ასრულებს.

სამშენებლო სამუშაოები 2016 წლის ბოლომდე დასრულდება.





საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დღეს გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავს. სრულიად საქართველოს ვულოცავ დიდმოწამე გიორგის ხსენების დღეს! წმინდა გიორგი ყოფილიყოს ჩვენი ქვეყნისა და თითოეული ჩვენგანის მფარველი!

პატივისცემით: გია სალუქვაძე

გურიის გუბერნატორი



გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ! წმინდა გიორგი, როგორც ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების სიმბოლო, ქართველი ერისთვის გამორჩეული წმინდანია. შეგეწიოთ ამ დღის მადლი. ერთიან, მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას გისურვებთ!

დავით დარჩია,

ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

# გაუქვირდებათ თუ არა გლეხებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი?

## დეპუტატის მიერ საკრებულოზე დასმული კითხვები პასუხგაუცემელი დარჩა

### 2016 წლის ბიუჯეტის განხილვა დაიწყო

გასულ პარასკევს ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის რიგგარეშე სხდომა გაიმართა. პირველ საკითხად „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ოზურგეთის მუნიციპალიტეწტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე"- განიხილეს.

2016 წლის ბიუჯეტის პროექტი გია მამაკაიშვილმა წარმოადგინა.

სიტყვა ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე **გოჩა კილაძემ** ითხოვა. იგი „თავისუფალი დემოკრატების" ადგილობრივი ლიდერის წინადადებას „სასურველია დააუცილებელი, 2016 წლის ბიუჯეტში გამოინახოს შესაბამისი მიზნობრივი თანხებიდა **C** ჰეპატიტით დაავადებული ადამიანების (მუნიციპალიტეტში მცხოვრები) წინასწარი დიაგნოსტირების ღირებულების თანადაფინანსება მოახდინოს რაიონისა და ქალაქის მუნიციპალიტეტებმა."

კილაძის განცხადებით „სალუქვაძე იმ ინიციატივას იბრალებს, რომელიც „ქართულ ოცნებას" ეკუთვნის. თუ 2015 წელს ამ კუთხით 20 ათასი ლარი იყო ბიუჯეტში, 2016 წელს 40 ათასია წარმოდგენილი. კარგი იქნება თუკი ოპონენტები ასეთ თემებს წინასწარ გაეცნობიან და შემდეგ გააკეთებენ განცხადებებს."

ამის შემდეგ სოფ. ასკანის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ილია მამალაძემ** სთხოვა საკრებულოს ხელმძღვანელებს რომ პასუხი გაეცათ იმ კითხვებზე, რომელიც სოფ. ასკანის მცხოვრებლებს აინტერესებთ:

1.შარშან სახელმწიფო დაფინანსებით გაკეთდა მთისპირი-ასკანა-მზიანი-მშვიდობაურის წყალსადენი, რომლის საკოლექტორო სადგურზე დაყენებული ძვირადღირებული ფილტრები არ მუშაობს და მოსახლეობას


გვ-3

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

— მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
— მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა — 150-150 ლარი;
— 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
— ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
— შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
— პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
— მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;
— სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
— გახსენება, ნეკროლოგი — სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

*ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით*

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით — 2 ლარი,**
**სამი თვით — 6 ლარი,**
**6 თვით —12 ლარი,**
**ერთი წლით — 24 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


**დაიწყეთ ყოველი ორშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**



**დღეს, მართლმადიდებლური სამყარო წმინდა დიდმოწამე გიორგის ხსენების დღეს აღნიშნავს. მინდა სრულიად საქართველოს მივულოცო ეს ბრწყინვალე საეკლესიო და ეროვნული დღესასწაული. წმინდა გიორგი, თავისი არსით, ბოროტების ძლევის და სიკეთის გამარჯვების სიმბოლოა. ამიტომ, ჩემს ერს მინდა სწორედ სიკეთის, გამარჯვებისა და წინსვლისკენ სწრაფვა ვუსურვო. ერთიან, ძლიერ და მშვიდობიან საქართველოში გვეცხოვროს! წმინდა გიორგის ძალა და მადლი ფარავდეს ჩვენს ქვეყანას და თითეულ ჩვენგანს!**

**თემურ სალუქვაძე,**
„თავისუფალი დემოკრატების“ გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარე

(დ)

## ქალაქ ოზურგეთში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დაიწყო



**ალიონი.** ქალაქ ოზურგეთში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დაიწყო. ამჟამად ბორდიურების კეთილმოწყობისა და ტროტუარების დაგების სამუშაოებმა ქალაქის სხვა ქუჩებზე გადაინაცვლა. ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობა დოლიძის, ერისთავის, გაბრიელ ეპირსკოპოსისა და თაყაიშვილის ქუჩებზე მიმდინარეობს.

აღნიშნულ სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ინჟინერი“ ახორციელებს. პროექტის ღირებულება 439 707 ლარს შეადგენს. ქალაქ ოზურგეთში ტროტუარების დაგება წლის ბოლომდე დასრულდება.

## შავი ქამარი I დანი აშიჰარა კარატეში



აშიჰარა იაპონური კონტაქტური კარატეს სტილია (კიოკუშინკაისა და გოჯუ-რიუს მონათესავე). გოჯი-რიუს ინსტრუქტორ გოჩა ფარსაშვილთან 5 წელი ვვარჯიშობდი, აშიჰარათი კი სამი წელია დავინტერესდი და ვვარჯიშობდი აშიჰარას წარმომადგენელთან საქართველოში შოთა ტულუშთან ბათუმში. 2015 წლის 14 ივნისს აქვე ჩავაბარე გამოცდა სწორედ შოთა ტულუშთან (IV დანი აშიჰარაში) შავ ქამარ I დანზე გავიარე გამოცდა 30 მან კუმიტე (შეუჩერებელი ორთაბრძოლები, 30 ბრძოლა თითო მოწინააღმდეგესთან 2 წუთი). 12 ნოემბერს ჩამომივიდა სერტიფიკატი შვეიცარიიდან. მანამდე ამ სერტიფიკატმა რეგისტრაცია გაიარა იაპონიაში, ხონშუში, სადაც მდებარეობს იაპონური კონტაქტური კარატეს უმაღლესი დაოსტატების სკოლა. იაპონიიდან სერტიფიკატი გადმოგზავნეს შვეიცარიაში, შვეიცარიიდან კი — საქართველოში. აშიჰარაში ვარჯიშმა კიდევ უფრო მეტი გამოცდილება შემძინა. მალე ვაპირებ ოზურგეთში სემინარებზე ჩამოვიყვანო საქართველოში გოჯუ-რიუს წარმომადგენელი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გოჯურიუში ლევან როგავა.

როგორც ტაეკვონდო, ისე კონტაქტური კარატე კარგად ვითარდება ოზურგეთში. უკვე ორი წელია ტარდება შავი ზღვის თასის პირველობა ალპაგუტში (სრული კონტაქტური კარატე), სადაც ირანი, აზერბაიჯანი, თურქეთი და რუსეთი მონაწილეობს. წლეულს, 14-18 აპრილს პირველად ჩატარდება ევრაზიის ჩემპიონატი, სადაც 10 ქვეყანა იასპარეზებს. ივნისში კი გაიმართება შავი ზღვის თასის პირველობა.

**ირაკლი ტულუში.**

## მადლობა კეთილ ადამიანებს

დიდი შვებაა, როცა ადამიანი გაჭირვებასთან მარტო არ რჩება. მეც დამიდგნენ გვერდით კეთილი ადამიანები. მადლობა მინდა გადავუხადო გულისხმიერებისთვის ქ. ოზურგეთის მერს, ბეგლარ სიორიძეს, ვიცე-მერს ალეკო ბურჭულაძეს, სოციალური დაცვის განყოფილების უფროსს თამარ დუმბაძეს, უფასო სასადილოს უფროსს ოლეგ შარაშენიძეს, მზარეულებს: რუსუდან დარჩიას, ლეილა ბიწაძეს, მადონა კოხრეიძეს.

**ლამარა ფრანგულაშვილი,**
ოზურგეთი წმ. გიორგის ქ. 42.

**გილოცავთ გიორგობას – მისი მადლი გფარავდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს!**

**გია მამაკაიშვილი,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

(დ)

## „არასრულწლოვანთა ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში“



**ალიონი.** გასულ ხუთშაბათს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა დისკუსია თემაზე: „არასრულწლოვანთა ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში“, რომელიც „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის" მიერ იყო ორგანიზებული.

დისკუსიაში პოლიტიკური პარტიების, სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, საჯარო სკოლის და საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. დისკუსიას მზია მეხუზლა უძღვებოდა.

დისკუსიის მთავარი კითხვა იყო: - მონაწილეობდნენ უნდა თუ არა მოსწავლეები პოლიტიკურ პროცესებში?

დისკუსიაში აქტიურობდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული საბჭოს ხელმძღვანელი ლელა ნაცვალაძე, შემოქმედისა და ცხემლისხიდის სკოლების დირექტორები ნინო სადრაძე, ლალი სიჭინავა, ქ. ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო გოგუაზე და სხვები.

რაც ყველაზე მოსასალმებელი იყო დისკუსიაში მონაწილე მოსწავლეების აქტიურობა.

„ბავშვები რატომღაც ასოცირდება „ცრემლსადენ გაზთან, " იმიტომ, რომ როდესაც მნიშვნელოვანი პრობლემაა და ბავშვები პროტესტს გამოხატავენ, უფრო მეტად მიდის ადამიანის გულამდე სატკივარი. ამით მანიპულირება ვთვლი, რომ ძალიან ცუდია და არ უნდა ხდებოდეს. "- თქვა დისკუსიის მონაწილე სალომე ჩავლეშვილმა.

ლელა ნაცვალაძის აზრით, „ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, საქართველოში ყველა პოლიტიკოსია დაწყებული ბავშვიდან, დამთავრებული უფროს ასაკამდე. ძალიან ცუდია ის ფაქტია, რომ ბავშვები მონაწილეობას იღებენ ამა თუ იმ პოლიტიკურ აქციებში და ვისურვებდი, ეს არასდროს არ მოხდეს. პოლიტიკას მხოლოდ პოლიტიკოსები უნდა აკეთებდნენ. ძალიან ცუდად მახსენდება განვლილი წლები და აქ მხოლოდ ბოლო ცხრა წელზე არ არის საუბარი. ხშირად იყენებდნენ ბავშვებს პოლიტიკურ აქციაზე და ეს ყოველთვის მიუღებელი ჩემთვის. არცერთმა ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას და ბავშვები ნამდვილად არ უნდა ვიხილოთ აქციებზე. მახსენდება, როგორ მიყავდათ ბავშვები ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დასახვედრად და ამაში ყველა იყო გარეული".

## შშმ პირებმა სამედიცინო ეტლები მიიღეს



**ალიონი.** 17 ნოემბერს, ქალაქ ოზურგეთში მცხოვრებმა, შშმ პირებმა სამედიცინო ეტლები მიიღეს. საერთაშორისო ასოციაციის ''საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის'' პროექტის ფარგლებში აღნიშნული დახმარება ქალაქის ხუთ მცხოვრებს გაეწია. სამედიცინო ეტლები განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ და ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ პირადად გადასცეს. სოციალური სფერო ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. გარდა საბიუჯეტო პროგრამების ფარგლებში ინტენსიური დახმარებისა, მოქალაქეებისთვის სხვადასხვა საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით, ქალაქის მერია აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან.

## ნულოვანი ფრე საკუთარ მოედანზე

ოზურგეთის „მერცხალი“ მე-14 ტურში, შენ, ზუგდიდის „ოდიში 1919“ შეხვდა და ნულოვან ფრეს დასჯერდა. „მერცხალს“ და „ჩხერიმელას“ 10-10 ქულა აქვთ და გათამაშების ცხრილში მე-17, მე-18 ადგილებზე იმყოფებიან. ხარაგოულელებს ერთი შეხვედრით ნაკლები აქვს ნათამაშევი.

# გაუძვირდებათ თუ არა გლეხებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი?

## დეპუტატის მიერ საკრებულოზე დასმული კითხვები პასუხგაუცემელი დარჩა



გაუფილტრავი წყალი მიეწოდება;

2. გზა, რომლის გაკეთებას ჰპირდებოდნენ სოფლის მოსახლეობას, რა მდგომარეობაშია..

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 4 სოფელი (ასკანა, მთისპირი, ვაკიჯვარი, ჯუმათი) მაღალმთიან სოფელთა კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ წინა ორი ხელისუფლების დროს და შესაბამისი შეღავათებით სარგებლობდა. გვაინტერესებს არის თუ არა ეს შეღავათები დღეს?

საკრებულოს ხელმძღვანელებმა მამალაძეს უთხრეს, რომ ამ კითხვებზე სხდომაზე რეგლამენტით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ უპასუხებდნენ..

ამის შემდეგ **გია მამაკაიშვილმა** მოკლედ მიმოიხილა 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის შემოსულობები 2016 წელს განსაზღვრულია 8 336.000 ლარით; ბიუჯეტის შემოსავლებში გადასახადებიდან გაანგარიშებული აქვთ შევიდეს 1440. 000 ლარი; ადგილობრივი მოსაკრებლები და გადასახდელები გაანგარიშებულია 800-,4 000 ლარზე.... ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების (ტრანსფერი) მოცულობა 5 657,600 ლარი იქნება.

მამაკაიშვილმა განაცხადა, რომ 2016 წლის ბიუჯეტი საჯარო მოხელეების შრომის ანაზღაურების ზრდას არ ითვალისწინებს, მაგრამ იურიდიულ პირებთან მიმართებაში, -სადაც დაბალი შრომის ანაზღაურება გააჩნიათ, შესაძლებელია ზოგან გადახედული იქნას ძველი პარამეტრები.

ბიუჯეტის პროექტზე თავისი მოსაზრება დააფიქსირა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **დიმიტრი კვერღელიძემ.**

თავდაპირველად მან ,,ნაცმოძრაობის'' დეპუტატების უპასუხისმგებლობას გაუსვა ხაზი –ისინი არ ესწრებოდნენ ბიუჯეტის განხილვას. შემდეგ კი მან თავისი შენიშვნები და წინადადებები წარმოადგინა:

1. უნდა გამოინახოს 140 ათასი ლარი ინფრასტრუქტურის ხარჯებისათვის;

2. განათლება: აშენდა ახალი ბაგა-ბაღები. ბავშვთა ჯგვების დღიური ხარჯი 1,24 ლარიდან -1,75 ლარამდე გაიზარდა. №1 პრიორიტეტი უნდა იყოს ბაღის მასწავლებლებისთვის ხელფასის მატება;

დიმიტრი კვერღელიძემ მუნიციპალიტეტს კულტურული ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული თანხების გადახედვა მოსთხოვა და ეკონომიკისაკენ მოუწოდა. ამასთან განათლების მეტად ხელშეყობა მოითხოვა.

–გვაქვს დრო, ბიუჯეტი დავხვეწოთ, თითოეული თეთრი უნდა ხმარდებოდეს ჩვენს მოქალაქეებს - განაცხადა კვერღელიძემ.

### ბიუჯეტი მუნიციპალიტეტს დაუბრუნდა.

საკრებულომ განიხილა ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ'' –ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე;'' ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ'', ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო-ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;''

### ,,თქვენ იმ კაცისა გულში ჩაიხედეთ, ვინც მიწაზეა ჩამოკიდებული...''

მომდევნო საკითხად ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ'' ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო-ადმინისტრაციული წარმოების დაწყება განიხილეს.

საკითხი მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე არჩილ ყაზაიშვილმა წარმოადგინა. მისი განმარტებით, სასოფლო-სამეურნეო მიწაზე (ვისაც 5 ჰექტარზე მეტი მიწა აქვთ ან აწი შეიძენენ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 73 ლარიდან 109 ლარამდე გაუძვირდებათ. მან ეს კაპიტალიზმის კანონით დაასაბუთა.

ამ საკითხზე საჯარო-ადმინისტრაციული განხილვის წინააღმდეგი წავიდნენ რიგი მაჟორიტარი დეპუტატები. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სოფლების მაკვანეთისა და ასკანის მაჟორიტარები ნუგზარ კალანდარიშვილი და ილია მამალაძე.

— ,,სოფელმა რომ ამირჩია, ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე 73 ლარი იყო გადასახადი. თქვენ იმ კაცის გულში ჩაიხედეთ, ვინც მიწაზეა ჩამოკიდებული...''-ცხარობდა სოფელ მაკვანეთის მაჟორიტარი.

**ილია მამალაძე** –,,ადრე 20 ლარი იყო გადასახადი, შემდეგ 40 ლარი გახდა. ახლა 73 ლარია და 109 ლარამდე ფიქრობთ გაზრდას. ხალხი ლობეს ვერ ლობავს, საიდან გადაიხდის გაზრდილ გადასახადს?''

**ინგა დუმბაძე:** –,,სოფელში მაღალია შიგა და გარე მიგრაცია. სამშვილიანი ოჯახები მრავალშვილიანთა კატეგორიაში უნდა განვიხილოთ. ამ თემაზე დეპუტატებმა ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა მივწეროთ წერილი...

საკითხისა კენჭისყრაზე დაყენების შემდეგ აღმოჩნდა, რომ საჯარო ადმინისტრაციულ-განხილვას მხარს 14, ხოლო არგანხილვას 11 დეპუტატი უჭერდა.

თავდაპირველად საკითხი ჩავარდნილად გამოცხადდა, მაგრამ შემდეგ დარბაზში საკრებულოს სპეციალისტი გივი ყაზაიშვილი შემოვიდა, რომელმაც განმარტა, რომ საკრებულოს რეგლამენტით 14 ხმა, საკრებულოს სიით შემადგენლობის 1/3 საკმარისი იყო საჯარო-ადმინისტრაციული განხილვის დაწყებისათვის.

ვნებათა ღელვა შემდეგაც გაგრძელდა.

ამის შემდეგ განიხილეს: ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების სესახებ,'' ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე; '' ასევე 2015 წლის მე-3 კვარტალის გეგმა განიხილეს.

როგორც იცით, საკრებულო ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანი ინტერნეტის საშუალებით მოსახლეობის საკრებულოს მუშაობაში ჩართულობაა. ამ დღეს საკრებულოს ზემო ნატანების, მელექედურისა და ბახვის მოსახლეობა უნდა ჩართოდა.....

ასევე პასუხგაუცემელი დარჩა ასკანის მაჟორიტარის დეპუტატის ილია მამალაძის მიერ საკრებულოს სდომაზე დასმული კითხვები.

# ,,,,თავისუფალი დემოკრატების'' საბიუჯეტო წინადადებები

**ალიონი.** მოგეხსენებათ, რომ მიმდინარეობს რაიონული და ქალაქის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის ფორმირება. ,,თავისუფალი დემოკრატები'' აქტიურად მუშაობენ შემოთავაზებული ბიუჯეტის პროექტზე და უახლოეს პერიოდში წარმოვადგენთ ჩვენს მოსაზრებებს. მანამდე, კი მიზანშწონილად მიმაჩნია, გაგაცნოთ ის ორი საინიციატივო წინადადება, რომლებიც ვფიქრობ, სასურველი და აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას 2016 წლის ბიუჯეტში.

ოზურგეთში არსებობს საქველმოქმედო ასოციაცია ''გურია'', სადაც დღის სტაციონარში ირიცხებიან შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ბავშვები. 18 წლამდე დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ჯანდაცვის სამინისტრო, ხოლო 18 წლის ზემოთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. სტაციონარში მყოფი ბავშვები აუცილებლად საჭიროებენ ძვირადღირებულ გამოკვლევებს, რაც არც პროგრამულ ბიუჯეტშია გათვალისწინებული და სამწუხაროდ, არც მშობლებს აქვთ შესაბამისი თანხები. როგორც საკრებულოს დეპუტატი, ვაყენებ წინადადებას, 2016 წლის რაიონისა და ქალაქის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას იმ ძვირადღირებული გამოკვლევების თანხები, რომლებსაც საჭიროებენ დღის ცენტრის ბავშვები წელიწადში ორჯერ.

ასევე, მოგეხსენებათ, რომ კერძოდ, **C** ჰეპატიტის დიაგნოზი საქართველოში წლების განმავლობაში ფაქტობრივად სასიკვდილო განაჩენად აღიქმებოდა. წელს გამოცხადებული ,,**C** ჰეპატიტის პროგრამ ასამოქალაქო სექტორისთვის'', შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი შემობრუნების დასაწყისია. სახელმწიფოს მხრიდან დიდი თანადგომის მიუხედავად, არსებული მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე, ბევრი დაავადებული ადამიანი ვერ ახერხებს გარკვეული სახის წინასწარი კვლევების ჩატარებას, რაც პროგრამაში მონაწილეობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს და პროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება. დამერწმუნეთ, ეს ფაქტორი კიდევ უფრო ამძიმებს დაავადებულთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. დამეთანხმებით, ალბათ, რომ ასეთი პრობლემის მქონე ადამიანები, თქვენც ხშირად შეგხვედრიათ. ვფიქრობ, სასურველია და აუცილებელი, 2016 წლის ბიუჯეტში გამოინახოს შესაბამისი მიზნობრივი თანხებიდა **C** ჰეპატიტით დაავადებული ადამიანების (მუნიციპალიტეტში მცხოვრები) წინასწარი დიაგნოსტირების ღირებულების თანადაფინანსება მოახდინოს რაიონისა და ქალაქის მუნიციპალიტეტებმა.

**თემურ სალუქვაძე**

,,თავისუფალი დემოკრატების გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარე

# ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსის'' აქციას გურიიდან 16 მოშიმშილე შეუერთდა




გასულ ორშაბათს, 16 ნოემბერს ,12 საათისთვის ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსის'' ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის წევრებმა, სხვა რეგიონელი კოლეგების მსგავსად, პროტესტის უკიდურეს ფორმას - შიმშილობას მიმართეს.

სლოგანით ,,ვშიმშილობთ, რათა სამართალმა პური ჭამოს'' ოზურგეთელი ,,ალიანსელები'' მარტვილსა და საგარეჯოში, სახელისუფლებო პარტიის, ქართული ოცნების მხრიდან შუალედური არჩევნების ტოტალურ გაყალბებას აპროტესტებენ.

,,პატრიოტთა ალიანსის'' ოზურგეთელი ლიდერის შოთა გოგიბერიძის განცხადებით, ,,ქართული ოცნებაც'' ,,ერთიან ნაციონალურ მოძრაობას'' დაემსგავსა და თავის რეჟიმს აყალიბებს, რომელიც პრაქტიკულად არაფრით განსხვავდება ,,ნაციონალების'' რეჟიმისგან:

,,ძვირფასო ოზურგეთელებო, ჩვენ აქ, ამ ,,ჭადრების ბაღში'', თქვენი გვერდში დგომითა და ძალისხმევით, ორჯერ დავასაფლავეთ ,,ნაციონალური მოძრაობა''. ,,ქართულმა ოცნებამ'' კი, ხელისუფლებაში მოსვლიდან, მათთან კოჰაბიტაცია გამართა, მეტიც, ისეთივე რეჟიმს ამყარებს, როგორიც ,,ნაციონალებს'' ჰქონდათ და თუ დღეიდანვე წინ არ აღვუდექით მის ამ ქმედებას, ხვალ უკვე გვიან იქნება.

მოვითხოვთ:

- მარტვილსა და საგარეჯოში ჩატარებული შუალედური არჩევნების შედეგების გაუქმებას, რადგან ორივე მუნიციპალიტეტში ადგილი ჰქონდა ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, დაშინებას, მოსყიდვას, ტოტალურ გაყალბებას;
- ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მხოლოდ პროპორციული სისტემით და გაუქმდეს მაჟორიტარული''...

მიტინგის დამთავრების შემდეგ, მოშიმშილეებმა ,,პატრიოტთა ალიანსის'' ოზურგეთის ორგანიზაციის ოფისში (იოანე პეტრიწის №1) გადაინაცვლეს, სადაც განაგრძობენ აქციას.

გოგიბერიძის თქმით, აქციის ეს უკიდურესი ფორმა მთელი ქვეყნის მასშტაბით გაგრძელდება, სანამ ხალხისა და მოშიმშილეთა მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ.

ოთხშაბათს, 18 ნოემბერს მოშიმშილეები თანაპარტიელებმა მოინახულეს ლანჩხუთიდან და ჩოხატაურიდან.

— ეს არის სოლიდარობის აქცია. ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვართ და ერთად ვიბრძოლებთ სამართლიანობისთვის, — განაცხადა ,,პატრიოტთა ალიონსის'' ჩოხატაურის ორგანიზაციის თავმჯდომარე მაია კუტუბიძემ. ჟურნალისტების წინაშე წარდგნენ ასევე ლანჩხუთის ორგანიზაციის თავმჯდომარე გურანდა მანაგაძე, ჩოხატაურის მინიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,პატრიოტთა ალიანსის'' თავმჯდომარე ირაკლი მანაგაძე.

როგორც ,,პატრიოტთა ალიანსის'' ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, შოთა გოგიბერიძემ ,,ალიონთან'' გუშინ გამართულ სატელეფონო საუბარში განაცხადა ,შაბათს გურიიდან 16 მოშიმშილე თბილისში შეუერთდა აქციას. მისივე თქმით, შიმშილობა იძულებით შეწყვიტა მხოლოდ ერთმა ,,ალიანსელმა'', ქალბატონმა ნინო ანდრონიკაშვილმა შეწყვიტა დედის ავადმყოფობის გამო.

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი პროექტი

| ორგ. კოდი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი | 2015 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი | 2015 წლის გეგმა 1,11 მდგომარეობით | | | 2015 წლის მიმდინარე ხარჯი 1,11 მდგომარეობით | | | 2016 წლის პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის: სახ.ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახ.ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი | 7 014,1 | 18 805,6 | 10 583,8 | 8 221,8 | 13 429,2 | 7 608,0 | 5 821,2 | 8 338,0 | 0,0 | 8 338,0 |
| 2. | ხარჯები | 6 860,3 | 10 836,0 | 3 102,9 | 7 733,1 | 6 749,4 | 1 284,3 | 5 465,0 | 8 143,5 | 0,0 | 8 143,5 |
| 2.1. | შრომის ანაზღაურება | 1 842,0 | 1 905,8 | 0,0 | 1 905,8 | 1 531,8 | 0,0 | 1 531,8 | 2 310,8 | 0,0 | 2 310,8 |
| 2.1.1. | ხელფასი | 1 842,0 | 1 905,8 | 0,0 | 1 905,8 | 1 531,8 | 0,0 | 1 531,8 | 2 310,8 | 0,0 | 2 310,8 |
| 2.1.1.1. | ხელფასები ფულადი ფორმით | 1 842,0 | 1 905,8 | 0,0 | 1 905,8 | 1 531,8 | 0,0 | 1 531,8 | 2 310,8 | 0,0 | 2 310,8 |
| 2.1.1.1.1. | თანამდებობრივი სარგო | 1 533,0 | 1 586,7 | 0,0 | 1 586,7 | 1 531,8 | 0,0 | 1 531,8 | 2 133,0 | 0,0 | 2 133,0 |
| 2.1.1.1.2. | წოდებრივი სარგო | 303,0 | 319,1 | 0,0 | 319,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 2.1.1.1.3. | პრემია | 6,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 177,8 | 0,0 | 177,8 |
| 2.2. | საქონელი და მომსახურება | 1 251,1 | 1 724,4 | 246,7 | 1 477,7 | 925,0 | 89,1 | 835,9 | 1 273,0 | 0,0 | 1 273,0 |
| 2.2.1. | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 76,7 | 84,5 | 0,0 | 84,5 | 53,2 | 0,0 | 53,2 | 99,1 | 0,0 | 99,1 |
| 2.2.2. | მივლინებები | 20,5 | 28,0 | 0,0 | 28,0 | 9,0 | 0,0 | 9,0 | 15,5 | 0,0 | 15,5 |
| 2.2.2.1. | მივლინება ქვეყნის შიგნით | 15,5 | 23,0 | 0,0 | 23,0 | 4,9 | 0,0 | 4,9 | 9,5 | 0,0 | 9,5 |
| 2.2.2.2. | მივლინება ქვეყნის გარეთ | 5,0 | 5,0 | 0,0 | 5,0 | 4,2 | 0,0 | 4,2 | 6,0 | 0,0 | 6,0 |
| 2.2.3. | ოფისის ხარჯები | 542,8 | 382,1 | 0,0 | 382,1 | 250,4 | 0,0 | 250,4 | 393,2 | 0,0 | 393,2 |
| 2.2.3.1. | საკანცელარიო, საწერ-საბეჭდი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა | 33,0 | 26,0 | 0,0 | 26,0 | 18,9 | 0,0 | 18,9 | 24,0 | 0,0 | 24,0 |
| 2.2.3.2. | კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი | 6,0 | 6,0 | 0,0 | 6,0 | 1,5 | 0,0 | 1,5 | 34,0 | 0,0 | 34,0 |
| 2.2.3.3. | ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები | 13,5 | 19,0 | 0,0 | 19,0 | 4,3 | 0,0 | 4,3 | 6,5 | 0,0 | 6,5 |
| 2.2.3.4. | მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი | 35,5 | 38,9 | 0,0 | 38,9 | 10,7 | 0,0 | 10,7 | 27,5 | 0,0 | 27,5 |
| 2.2.3.4.3. | კომპიუტერული ტექნიკა | 9,0 | 14,0 | 0,0 | 14,0 | 8,1 | 0,0 | 8,1 | 11,0 | 0,0 | 11,0 |
| 2.2.3.4.5. | კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა | 13,5 | 13,5 | 0,0 | 13,5 | 0,9 | 0,0 | 0,9 | 5,5 | 0,0 | 5,5 |
| 2.2.3.4.6. | ფოტო-ვიდეო-აუდიო აპარატურა | 2,5 | 2,5 | 0,0 | 2,5 | 0,3 | 0,0 | 0,3 | 2,0 | 0,0 | 2,0 |
| 2.2.3.4.10. | გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა | 1,5 | 1,5 | 0,0 | 1,5 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 2,0 | 0,0 | 2,0 |
| 2.2.3.4.11. | სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი | 9,0 | 7,4 | 0,0 | 7,4 | 1,4 | 0,0 | 1,4 | 7,0 | 0,0 | 7,0 |
| 2.2.3.5. | საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი | 26,5 | 26,5 | 0,0 | 26,5 | 12,0 | 0,0 | 12,0 | 20,5 | 0,0 | 20,5 |
| 2.2.3.5.1. | საოფისე ავეჯი | 5,0 | 5,0 | 0,0 | 5,0 | 4,5 | 0,0 | 4,5 | 3,0 | 0,0 | 3,0 |
| 2.2.3.5.2. | რბილი ავეჯი | 8,0 | 6,0 | 0,0 | 6,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 4,0 | 0,0 | 4,0 |
| 2.2.3.5.3. | სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი | 13,5 | 15,5 | 0,0 | 15,5 | 7,5 | 0,0 | 7,5 | 13,5 | 0,0 | 13,5 |
| 2.2.3.6. | ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის ხარჯი | 5,5 | 5,5 | 0,0 | 5,5 | 1,1 | 0,0 | 1,1 | 3,0 | 0,0 | 3,0 |
| 2.2.3.8. | შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი | 34,8 | 37,2 | 0,0 | 37,2 | 13,5 | 0,0 | 13,5 | 25,0 | 0,0 | 25,0 |
| 2.2.3.9. | საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი | 6,0 | 2,0 | 0,0 | 2,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 2,0 | 0,0 | 2,0 |
| 2.2.3.10. | კავშირგაბმულობის ხარჯი | 61,5 | 61,5 | 0,0 | 61,5 | 43,9 | 0,0 | 43,9 | 54,2 | 0,0 | 54,2 |
| 2.2.3.11. | საფოსტო მომსახურების ხარჯი | 4,0 | 5,5 | 0,0 | 5,5 | 1,5 | 0,0 | 1,5 | 5,0 | 0,0 | 5,0 |
| 2.2.3.12. | კომუნალური ხარჯი | 136,5 | 154,0 | 0,0 | 154,0 | 143,0 | 0,0 | 143,0 | 191,5 | 0,0 | 191,5 |
| 2.2.3.12.1. | ელექტროენერგიის ხარჯი | 120,0 | 140,0 | 0,0 | 140,0 | 135,6 | 0,0 | 135,6 | 180,0 | 0,0 | 180,0 |
| 2.2.3.12.2. | წყლის ხარჯი | 7,5 | 6,5 | 0,0 | 6,5 | 3,7 | 0,0 | 3,7 | 5,0 | 0,0 | 5,0 |
| 2.2.3.12.3. | ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი | 8,0 | 6,5 | 0,0 | 6,5 | 3,6 | 0,0 | 3,6 | 6,5 | 0,0 | 6,5 |
| 2.2.3.12.6. | შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯი | 1,0 | 1,0 | 0,0 | 1,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 2.2.3.14. | ოფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული | 180,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 2.2.4. | წარმომადგენლობითი ხარჯები | 10,0 | 25,0 | 0,0 | 25,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 |
| 2.2.8. | ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 195,0 | 214,1 | 0,0 | 214,1 | 116,7 | 0,0 | 116,7 | 223,6 | 0,0 | 223,6 |
| 2.2.8.1. | საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი | 150,0 | 165,1 | 0,0 | 165,1 | 90,0 | 0,0 | 90,0 | 186,1 | 0,0 | 186,1 |
| 2.2.8.2. | მიმდინარე რემონტის ხარჯი | 18,0 | 18,0 | 0,0 | 18,0 | 6,3 | 0,0 | 6,3 | 13,0 | 0,0 | 13,0 |
| 2.2.8.3. | ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი | 11,0 | 14,0 | 0,0 | 14,0 | 7,7 | 0,0 | 7,7 | 9,5 | 0,0 | 9,5 |

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი პროექტი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.2.8.4. | ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი | 9,0 | 10,0 | 0,0 | 10,0 | 6,2 | 0,0 | 6,2 | 9,0 | 0,0 | 9,0 |
| 2.2.8.5. | მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენა შენახვის ხარჯი | 1,0 | 1,0 | 0,0 | 1,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 2.2.8.6. | ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის არაკლასიფიცირებული ხარჯები | 6,0 | 6,0 | 0,0 | 6,0 | 6,5 | 0,0 | 6,5 | 6,0 | 0,0 | 6,0 |
| 2.2.10. | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 406,1 | 990,7 | 246,7 | 744,0 | 475,6 | 89,1 | 386,6 | 521,7 | 0,0 | 521,7 |
| 2.2.10.3. | ექსპერტიზის და შემოწმების ხარჯი | 0,0 | 2,0 | 0,0 | 2,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 2.2.10.4. | კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი | 19,1 | 18,4 | 0,0 | 18,4 | 1,8 | 0,0 | 1,8 | 20,0 | 0,0 | 20,0 |
| 2.2.10.6. | სხიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი | 8,0 | 3,0 | 0,0 | 3,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 2,0 | 0,0 | 2,0 |
| 2.2.10.7. | საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 3,8 | 0,0 | 3,8 | 4,8 | 0,0 | 4,8 |
| 2.2.10.8. | აუდიტორული მომსახურების ხარჯი | 5,0 | 5,0 | 0,0 | 5,0 | 3,9 | 0,0 | 3,9 | 7,0 | 0,0 | 7,0 |
| 2.2.10.9. | საარქივო მომსახურების ხარჯი | 9,0 | 9,0 | 0,0 | 9,0 | 6,8 | 0,0 | 6,8 | 9,0 | 0,0 | 9,0 |
| 2.2.10.10. | შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი | 45,0 | 45,0 | 0,0 | 45,0 | 33,6 | 0,0 | 33,6 | 44,9 | 0,0 | 44,9 |
| 2.2.10.12. | კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო, საგამოფენო ღონისძიებების და მაუწყებლობის ხარჯები | 0,0 | 22,3 | 0,0 | 22,3 | 22,3 | 0,0 | 22,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 2.2.10.14. | სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი | 320,0 | 886,0 | 246,7 | 639,3 | 403,4 | 89,1 | 314,3 | 434,0 | 0,0 | 434,0 |
| 2.5. | სუბსიდიები | 3 112,5 | 3 652,8 | 0,0 | 3 652,8 | 2 629,0 | 0,0 | 2 629,0 | 3 872,7 | 0,0 | 3 872,7 |
| 2.6. | გრანტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 50,0 | 0,0 | 50,0 | 50,0 | 0,0 | 50,0 |
| 2.6.3. | გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 50,0 | 0,0 | 50,0 | 50,0 | 0,0 | 50,0 |
| 2.6.3.1. | მიმდინარე | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 50,0 | 0,0 | 50,0 | 50,0 | 0,0 | 50,0 |
| 2.7. | სოციალური უზრუნველყოფა | 419,5 | 530,8 | 0,0 | 530,8 | 304,8 | 0,0 | 304,8 | 455,5 | 0,0 | 455,5 |
| 2.7.2. | სოციალური დახმარება | 419,5 | 530,8 | 0,0 | 530,8 | 300,1 | 0,0 | 300,1 | 455,5 | 0,0 | 455,5 |
| 2.7.2.1. | ფულადი ფორმით | 369,5 | 409,1 | 0,0 | 409,1 | 295,0 | 0,0 | 295,0 | 395,5 | 0,0 | 395,5 |
| 2.7.2.2. | სასაქონლო ფორმით | 50,0 | 121,7 | 0,0 | 121,7 | 5,1 | 0,0 | 5,1 | 60,0 | 0,0 | 60,0 |
| 2.7.3. | დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 4,8 | 0,0 | 4,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 2.7.3.1. | ფულადი ფორმით | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 4,8 | 0,0 | 4,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 2.8. | სხვა ხარჯები | 235,2 | 3 022,3 | 2 856,2 | 166,1 | 1 308,7 | 1 195,2 | 113,5 | 181,5 | 0,0 | 181,5 |
| 2.8.2. | სხვადასხვა ხარჯები | 235,2 | 3 022,3 | 2 856,2 | 166,1 | 1 308,7 | 1 195,2 | 113,5 | 181,5 | 0,0 | 181,5 |
| 2.8.2.1. | სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები | 235,2 | 97,9 | 7,1 | 90,8 | 73,0 | 0,0 | 73,0 | 181,5 | 0,0 | 181,5 |
| 2.8.2.1.1. | სასამართლოებისა და სხვა კვაზი-სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებული სავალდებულო ხარჯი | 0,0 | 4,0 | 0,0 | 4,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 2.8.2.1.18. | სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი | 235,2 | 93,9 | 7,1 | 86,8 | 73,0 | 0,0 | 73,0 | 181,5 | 0,0 | 181,5 |
| 2.8.2.2. | სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები | 0,0 | 2 924,4 | 2 849,1 | 75,3 | 1 235,8 | 1 195,2 | 40,5 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 61. | არაფინანსური აქტივების ზრდა | 153,8 | 7 967,9 | 7 480,9 | 487,0 | 6 677,7 | 6 323,7 | 354,0 | 194,5 | 0,0 | 194,5 |
| 61.1. | ძირითადი აქტივები | 153,8 | 7 967,9 | 7 480,9 | 487,0 | 6 677,7 | 6 323,7 | 354,0 | 194,5 | 0,0 | 194,5 |
| 61.1.1. | შენობა-ნაგებობები | 0,0 | 7 833,4 | 7 480,9 | 352,5 | 6 557,7 | 6 323,7 | 234,0 | 117,5 | 0,0 | 117,5 |
| 61.1.1.1. | საცხოვრებელი შენობები | 0,0 | 674,0 | 600,0 | 74,0 | 399,2 | 399,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 61.1.1.2. | არასაცხოვრებელი შენობები | 0,0 | 1 255,8 | 1 239,3 | 16,5 | 348,6 | 332,1 | 16,5 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 61.1.1.5. | გზები | 0,0 | 1 491,4 | 1 300,6 | 190,8 | 1 746,9 | 1 686,0 | 60,9 | 83,0 | 0,0 | 83,0 |
| 61.1.1.6. | ხიდები | 0,0 | 1 425,9 | 1 424,7 | 1,2 | 1 291,1 | 1 290,0 | 1,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 61.1.1.8. | საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები | 0,0 | 182,3 | 112,3 | 70,0 | 147,3 | 112,3 | 35,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 61.1.1.11. | სხვა შენობა-ნაგებობები | 0,0 | 2 804,0 | 2 804,0 | 0,0 | 2 624,5 | 2 504,1 | 120,4 | 34,5 | 0,0 | 34,5 |
| 61.1.2. | მანქანა დანადგარები და ინვენტარი | 153,8 | 134,5 | 0,0 | 134,5 | 120,0 | 0,0 | 120,0 | 77,0 | 0,0 | 77,0 |
| 61.1.2.1. | სატრანსპორტო საშუალებები | 80,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 | 19,9 | 0,0 | 19,9 | 30,0 | 0,0 | 30,0 |
| 61.1.2.1.2. | მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი | 80,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 | 19,9 | 0,0 | 19,9 | 30,0 | 0,0 | 30,0 |
| 61.1.2.2. | სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენა | 73,8 | 114,5 | 0,0 | 114,5 | 100,1 | 0,0 | 100,1 | 47,0 | 0,0 | 47,0 |
| 61.1.2.2.1. | ტელევიზორის შეძენა | 0,0 | 1,5 | 0,0 | 1,5 | 1,5 | 0,0 | 1,5 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 61.1.2.2.3. | კომპიუტერის შეძენა | 7,0 | 23,7 | 0,0 | 23,7 | 14,7 | 0,0 | 14,7 | 10,0 | 0,0 | 10,0 |
| 61.1.2.2.5. | პრინტერის, სკანერის და ასლგადამღების შეძენა | 3,0 | 4,3 | 0,0 | 4,3 | 1,4 | 0,0 | 1,4 | 2,0 | 0,0 | 2,0 |
| 61.1.2.2.9. | ვიდეო-აუდიო აპარატურის შეძენა | 3,0 | 3,0 | 0,0 | 3,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 5,0 | 0,0 | 5,0 |
| 61.1.2.2.20. | სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენა რომელიც არ არის კლასიფიცირებული | 60,8 | 82,0 | 0,0 | 82,0 | 82,5 | 0,0 | 82,5 | 30,0 | 0,0 | 30,0 |

# ფერმერთათვის მეტად სასარგებლო გამოფენა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, 18-20 ნოემბერს ქ. თბილისში გამოფენების ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ გაიმართა სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთავი ტექნოლოგიების მე-15 საერთაშორისო გამოფენა. ექსპოზიციების დემონსტრირება ხდებოდა სამ პავილიონში. გარდა ამისა, პირუტყვის, ტრაქტორებისა და სხვა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნიმუშები წარმოდგენილი იყო გარე სივრცეში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან გამოფენაში მონაწილეობისათვის მიწვეული იყვნენ სასოფლო-სამეურმეო კოოპერატივი „ნაგომრის ჩაი“ და **ENPARD**-ის პროექტის გამარჯვებული დავით თენიეშვილი, რომლებმაც გამოფენაზე წარადგინეს შავი ბაიხის ჩაის ნიმუშები.

პირველივე დღეს გამოფენა ორგანიზებულად დაათვალიერა ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ფერმერული მეურნეობების წარმომადგენლებმა და საჯარო მოხელეებმა. დათვალიერებას ორგანიზება გაუწია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გურიის რეგიონულმა სამმართველომ.

შეხვედრის მონაწილეთა კერძო საუბრებში კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ საქართველოში კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ფერმერული მეურნეობების განვითარების მიზნით, მრავალი სასარგებლო და მისასალმებელი რამ კეთდება, როგორიცაა: ფერმერებისა და მეწარმეების სხვადასხვა პროგრამებში ჩართვა, მათთვის ტრენინგ-სემინარებისა და სწავლების ორგანიზება, ინფორმაციული უზრუნველყოფა, საკონსულტაციო მომსახურება და სხვა. ითქვა ტელეკომპანია „საფერავის“ მიერ მომზადებული სატელევიზიო გადაცემების უდავოდ დადებითი როლის შესახებ.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ფერმერთა საქმიანობის „აქილევსის ქუსლად“ ჯერ კიდევ რჩება მათ მიერ განსახორციელებელი იდეისა თუ საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა. სასურველი იქნება თუ სახელმწიფო, საბანკო და სადაზღვევო სექტორები, დონორი ორგანიზაციები და მასმედიის საშუალებები კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთვებიან საქართველოს ეკონომიკის განვითარების მეტად კეთილშობილურ საქმეში, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პრინციპების დაცვის საფუძველზე.

გამოფენის მონაწილეები და დამთვალიერებლები მეტად კმაყოფილი დაბრუნდნენ შინ. მათ ძალიან მდიდარი ინფორმაცია მოიპოვეს გამოფენის მონაწილეთა მიერ პოტენციური მომხმარებლებისათვის შეთავაზებული საქონლისა და მომსახურების შესახებ. ისინი სხვა დროსაც დიდი სიამოვნებით მიიღებენ მონაწილეობას მსგავს ღონისძიებებში.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შესაბამისი ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების მიზნით, შეუძლიათ მიმართონ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გურიის რეგიონულ სამმართველოს.

**ომარ ბაკურაძე,**
ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ექსპერტ-კონსულტანტი

## განცხადებები

ქალაქ ოზურგეთის ცენტრში იყიდება 400 კვ. მეტრი ფართის კეთილმოწყობილი საბანკეტო დარბაზი.

ქალაქ ოზურგეთში იყიდება ყველაზე კარგი სახლი. ტელ. 593. 95 61 83.

იყიდება მიწა 9 400 კვ. ქობულეთის ტრასაზე, ანასეულის გადასახვევიდან 400 მეტრის დაშორებით.

იყიდება შეკვეთილში 410 კვ. მ მიწის ნაკვეთი, ივანიშვილის დასასვენებელი სახლის მეზობლად. ტელ. 599 58 75 32

# სკანვორდი




## №45-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — თენგიზ მირზაშვილი; ევროს ხურდა — ევროცენტი; სამხრეთის ქარი — არავი; ავტომობილის მარკა — კია; ყველაზე დიდი ალმასი — კულინანი; მდინარე საქართველოში — იორი; ლოყა — ღაწვი; რუსი მწერალი — ბელი; ქიმიური ელემენტი — კალა; ჰოკოჯოხს ურტყამენ — შაიბა; მცირე ზომის ნავი — სანდალი; ციხე-სიმაგრე სტამბოლში — აგიაპანტი; დეკორატიული მცენარე — პალმა; ბეგარა — ღალა; ლავაშის კიდე — ყუა; პირუტყვის საკვების შესანახი — საბძელი; ქალაქი დიდ ბრიტანეთში — დუბლინი; ზომის ერთეული — ადლი; ქართველი წმინდანი — ილია; ყველაზე მაღალი შენობა — ბურჯუ; გვირგვინი — ჯიღა; შიში — ძრწოლა; ფელამუში — თათარა; სახელმწიფო აფრიკაში — განა; იაპონური კაკალი — ზიბოლდა; ჭაობის მცენარე — ისლი; უფროსი — ბოსი; საბუთი — გუჯარი; იალქანი — აფრა; დიახ — კი; კურო — ბუღა; ბელლის ზედამხედველი — მუჯირი.

ისტორიის ფურცლებიდან

# ეპოქა ფირალთა ზეობისა

რუბრიკას უძღვება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი

(გაგრძელება)



1898 წლის 12 თებერვალს „ცნობის ფურცელი“ წერდა: „სოფელ ჯუმათში, ავაზაკებმა ცეცხლი წაუკიდეს ი. სვანიშვილის მაღაზიას, რომელშიც რვაასი ფუთი სიმინდი ინახებოდა, სვანიშვილი და მისი ახლობლები გადაარჩინეს. სიმინდი კი მაინც დაიღუპა“.

ასეთი „რვაას ფუთიანი „სასიმინდე მაღაზიებით“ იყო მოფენილი მთელი გურია. სიმინდი წარმოადგენდა გურიის მკვიდრთა ერთ-ერთ ძირითად საექსპორტო საშუალებას. საყანე სავარგულებში შეკვეთილსა და მერიაში, საცა 1911 წელს სასიმინდედან „გადმოხტომისას მოკლეს“ გურიის კომიტეტის ნების აღმსრულებელი ცნობილი ტერორისტი „სიმონა დოლიძე“, „ოთხას ფუთიანი“ და „რვაას ფუთიანი“ ნალიების ტყე იდგა“.

სიმინდის შემდგომ ღომის მარცვალი იყო გურული გლეხის უმთავრესი სარჩო-საბადი. ღომის მოსავალი გარკვეული სიუხვით ხასიათდებოდა. ღომი ექვსი ჯიშისა იყო: „თეთრი“, „ბარამულა“, „ძირდაბალი“, „შვიდკვირა“, „სუჭილა“, „ჯორიელა“. ყველას ღირსებით თეთრი ღომი სჯობდა. მეტად თეთრი ფერისა იყო. ერთი ქილა თეთრი ღომი ერთი აბაზით მეტად იყიდებოდა, ვიდრე სხვა ჯიშისა, თან „თეთრ ღომს“ ის უპირატესობა ჰქონდა, რომ სხვა ღომის ჯიშთან შედარებით იგი „სიმწიფეს უფრო ითმენდა“. ე. ი. დამწიფებიდან ერთი კვირის შემდეგაც კი, შესაძლებელი იყო მისი მომკა ამით ამ (ჯიშის ღომს) არა დაუშავდებოდა რა“. სხვა ჯიშის ღომი კი მაშინათვე თუ არ მოიმკებოდა, მარცვლები სრულიად დაცვივდებოდა და მარტოოდენ თავებიღა დარჩებოდა.

თეთრი ღომი „მაღალს იზრდებოდა“. წვრილი და ნაზი ფოთლები ჰქონდა, მისი ჩალა საუკეთესო საკვები იყო საქონლისათვის და ძვირად იყიდებოდა. სიმინდის ჩალის კონა რომ 2 კაპიკი ღირდა, ღომის ჩალის კონა ერთი სამად ძვირად ფასობდა.

გურიაში ადრე დიდძალი ღომი მოდიოდა, სანამ სიმინდი არ იყო ისე გავრცელებული. მაგრამ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ზოგ ადგილებში ღომი საერთოდ აღარ მოჰყავდათ, რადგან მუშაობა და ჯაფა მეტი სჭირდებოდა, ოთხ-ხუთჯერ მეტი ვიდრე სიმინდსა, თუმცა ფასი მშვენიერი ჰქონდა. ფუთი სიმინდი 25 კაპიკს ფასობდა. ფუთი ღომი 75 კაპიკს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, იმავე 1896 წელს სიმინდის მოსავალთან ერთად ღომის დიდი მოსავალიც ჩანს: მისი საერთო რაოდენობა 176557 ფუთით განისაზღვრებოდა.

ღომის და სიმინდის შემდგომ „ლობიოა გურიის გადამრჩენი“. ისე როგორც ღომი, ასევე ლობიოც მრავალი სახეობისა იყო:

წილობიო. ქონა ლობიო, ხოხიე ლობიო, მიწის ლობიო, ღჯის ლობიო, რუსული ლობიო, შესანიშნავ „სამარხო“ და „სახსნილო“ კერძებს ამზადებდნენ „კერიასთან მოფუსფუსე“ გურული დიასახლისები ლობიოთა ამ ნაირსახეობისაგან:

ლობიო ამოლესილი, ლობიო კირკვალი, ლობიო შეზელილი, ლობიო ურწყულ-მოსხმული, ლობიო ნიგვზით, ყარაოთი და ძაღით შემზადებული. ლობიო ტყემლის ტყლაპით, ლობიო სირსვალი, ლობიო ქონა მამაკალია, ლობიო პარკად შენახული.

1899 წელს გურიაში 47123 ფუთი ლობიო იქნა მოწეული. „ახალთაობის მოძრაობის“ დაწყების წინ და ფირალობის აღმავლობის წლებში „კუჭის კრიტიკული მდგომარეობის საკითხი“ და „შიმშილის მხრით“ ფირალად გავარდნის პროცესი „ლობიოს მოსავლიანობის“ თვალსაზისითაც გამორიცხული იყო.

სხვა დანარჩენი „ბაღჩეული კულტურებიდან“ გურიაში გავრცელებული იყო:

მიწის კიტრი, ღჯის კიტრი, რუსულა კიტრი, ბადრიჯანი: გრძელიცა და წითელიც. ცერცვი: მიწის ცერცვი და ოქროს ცერცვი, კარტოფილი, ნესვი, საპი (გოგრა) ხაპერა (სქელკანიანი გოგრა) ბოლოკი, „თვის ბოლოკი“, ჭარხალი, სტაფილო. მხალეულობა: კეჟერა ფხალი, ჭიჭლაყა ფხალი, სვინტრა ფხალი, ჭყანას ფხალი, ჭანდუა ფხალი, ჭინჭრის ფხალი, მოლოქაი ფხალი, უმბალო ფხალი, დედისქონა ფხალი, ვაშლაის ფხალი, ეკალას ფხალი, ქათანატარა ფხალი, კატაბარდა ფხალი, სუქარაი ფხალი.

გურია ცნობილი იყო ხეხილის მრავალფერი ჯიშებით. ყოველი გლეხის ოჯახში უხვმოსავლიანობით გამოირჩეოდა:

წითელი ვაშლი, შავი (ნაცარა) ვაშლი, სანეფო ვაშლი, დემის ვაშლი (დემირა) ლიმონის ვაშლი, ბია ვაშლი, გემის ვაშლი, ოანტა (მაყალო) ვაშლი, მსხლის ჯიშები: ხეჭეჭური მსხალი, ხატრის მსხალი, საიანებო მსხალი, კაცისთავა (ძალიან დიდს იზრდებოდა ნაყოფი) მსხალი, გიდელა მსხალი, სასელა მსხალი, ყვითელა (საყვითლია) მსხალი, მოღაზურის მსხალი, მომღრის მსხალი. ბლის ჯიშები: ვიშნა ბალი, კახა(მ) ბალი, ალექ მელექის ბალი, ბიმბილა ბალი, შავ ბალა, მაისის ბალი. სხვაც მრავალი იყო ხეხილი: წითელი ტყემალი, ყვითელი ტყემალი, ოტური, ქლიავი, კორკიმელი, ალუჩა, ბჟოლი: თეთრი, შავი და ჭრელი, ბროწეული, ბია, ზღმარტლი, მოცვი, წყავი, სათუთქი ატამი, ვაშლ ატამა, ბერძულა თხილი, ჩხიკვისთავა თხილი, ველური თხილი, გულშიშველა თხილი, თქვლიფა ნიგოზი (კაკალი) კერკეტა ნიგოზი“. წაბლი მრავალგვარი.

გურული გლეხი ესოდენ მრავალი და უხვმოსავლიანი ხილის ჯიშებიდან „ვაზის ნაყურის“ შემდეგ დარჩენილ „ჭაჭასთან“ ერთად არაყსა და სპირტს ხდიდა და მაღალი ხარისხის „წვენს ადენდა“ მათ.

„საფირალო ეპოქაში“ მხარე მოფენილი იყო პატარ-პატარა სპირტის სახდელი ქარხნებით. 1895 წლისათვის მთელ ქუთაისის გუბერნიაში 399 არყის სახდელი ქარხანა იყო. აქედან 299 გურიაზე მოდიოდა. ფულად 24750 მანეთის არაყი გამოუხდიათ, რაზედაც 235 კაცს უმუშავნია“

განსაკუთრებელი მაღალი ხარისხით, იშვიათი თვისებებით გამოირჩეოდა ე.წ. „სანთლის არაყი“, რომელიც ძირითადად გურიის მაღალმთიანი სოფლების „წამყვანი ალკოჰოლური კულტურა“ იყო. სოფელი გომი, - წერდა თ. სახოკია, - განთქმულია ე.წ. „სანთლის არაყით“ რომელსაც თაფლისაგან აკეთებენ. აქაურები მეფუტკრეობას ძალიან მისდევენ. ტყის სიახლოვეც ძალიან ხელს უწყობს ამ დარგს მეფუტკრეობისას. (ორმოცამდე ოჯახი აწარმოებს მას). ყველას ერთად 400-მდე სკა ფუტკარი ჰყავს. 1 ფუთი თაფლი სამ მანეთამდე ფასობს. სანთელი-18 მანეთი.

1903 წლისათვის გურიაში იყო სულ 1700 სკა, რომლისაგანაც მიიღეს 334 ფუთი თაფლი და 192 ფუთი სანთელი.

გარდა სოფელ გომისა, გურიაში სანთლის არაყის წარმოების მაღალი დონით გამოირჩეოდნენ „მთის კალთებზე მდებარე სოფლები“: ერკეთი, სურები, ჭანიეთი, აჭი. ამ არაყს ფასიც კარგი ჰქონდა. „ვერმუთის ბოთლი - ერთი ლიტრა 1 მანეთად იყიდებოდა - ჭაჭის არაყი 10 შაურად“.

საზოგადოდ არყის ხდა მთელ გურიაში გავრცელებულია. განსაკუთრებით ბევრსა ხდიან ჭაჭის არაყს, - გვაუწყებს თედო სახოკია.

1897 წელს მთელ გურიაში იყო 308 არყის სახდელი ქარხანა, გამოუხდიათ 1869817 გრადუსი სპირტი.

1898 წელს არყის სახდელი ქარხნების რიცხვი 401 ერთეულითაა წარმოდგენილი. გამოუხდიათ 1 მილიონ 753 899 გრადუსი სპირტი.

ფირალთა მძლავრობის პერიოდში, ეკონომიურად დუხჭირ ყოფაში მყოფი და სოციალურად მრავალგზის ტანჯულ მხარის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამჟამად უკვე გამქრალი და მინავლებული, ფრიად შემოსავლიანი დარგი-მეთამბაქოება.

1845 წლის 3 სექტემბერს იმპერატორის დიდმოხელე გამალეია კავკასიის მეფისნაცვალს, საგანგებო უფლებებით აღჭურვილ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვს წერდა:

„კავკასიის მხარისათვის ნიუიორკში რუსეთის ელჩის საშუალებით ამერიკიდან: ვირჯინიის, მარილანდსკისა და კენტუკის მიდამოებიდან გამოწერილია სამ-სამი გირვანქა თამბაქოს თესლი. ეს თესლი მიიღო გურიაში მიხეილ ერისთავმაც, რომელმაც დაიწყო თამბაქოს პლანტაციის მოშენება.

1850 წელს კავკასიის პირველ გამოფენაზე ერისთავმა გაიტანა თამბაქოს პირველი ნიმუში, რასაც დიდი მოწონება ხვდა, და მთავრობის მიერ შესაფერისი ჯილდოც დაიმსახურა.

1885 წელს გურიაში მოყვანილ იქნა 10000 ფუთი თამბაქო. თამბაქო მხარეში შემოსულა აგრეთვე ტრაპიზონიდანაც, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის თავად კონსტანტინე ერისთავს. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ქუთაისის გუბერნიაში ოზურგეთის მაზრას თამბაქოს წარმოების მხრივ უპირველესი ადგილი ეჭირა.

1897 წელს გაზ. „დროება“ წერდა: „ჯვარცმა, ერკეთი, დაბა ჩოხატაური. აქედან ბლომად გააქვთ სხვადასხვა ქალაქებში ადგილობრივ მცხოვრებლებს არაყი, თუთუნი, აბრეშუმი, თაფლი, ყვითელი სანთელი. სომხებსა და ბერძნებს. ერკეთში ხშირად შეხვდებით ისეთ მოსახლეს რომელსაც აქვს 100-200 ფუთი თუთუნი, ორი ფუთი აბრეშუმის პარკი, 25-30 ფუთი სანთელი, და თაფლი.

ვიღაც სომეს ვაჭარს ვეებერთელა პარკთ საშრობი გაუმართავს ჩოხატაურში. და 1600 ფუთი პარკი აქვს ნაყიდი. ამავე ვაჭარს (კნუნიანცს ე.გ.) ნაყიდი აქვს ლანჩხუთში და საჯავახოში და აბაშაში 2500 ფუთამდის. ამას გარდა (ვინ მოსთვლის) რამდენი იყიდეს ურიებმა.

1896 წელს დაარსდა ე.წ. „შუამავალი“ ანუ გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა, რომელშიც ყველა გურულს ჰქონდა უფლება 10 მანეთი საწევრო შეტანის შემდეგ გაწევრიანებულიყო. შუამავალმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია ჩარჩივაჭრებს, დაიწყო მოსახლეობიდან პარკის შესყიდვა და საზღვარგარეთ მისი გასაღება.

**(გაგრძელება იქნება)**

სულთათანა

# დალი გოგიბერიძის ხსოვნას



მისი გარდაცვალება ელდაა, გამაოგნებელი და უსაშველოდ დამამწუხრებელი რეალობა! დალი გოგიბერიძე აღარ არის ... ქალი, რომელსაც ყველგან სიცოცხლე, სიხარული, კეთილი განწყობა მიჰქონდა. დახვეწილი გემოვნების, მუდამ მოწესრიგებული, მომხიბვლელი ქალბატონი ვიზუალურად, შინაგანად კი კეთილი, მზრუნველი, სიყვარულით სავსე ადამიანი. კოლექტივის გული და სული, ყველას ჭირისუფალი და თანამდგომი.სულ ახალგაზრდა იყო ბახვის საშუალო სკოლაში რომ დაიწყო მოღვაწეობა უფროს პიონერხელმძღვანელად, ხოლო 1977 წლიდან, ვიდრე გარდაცვალებამდე, ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლი, თითქმის ორმოცი წელი უძღვებოდა მშობლიური ენის სწავლებას.

ნათელა მელუას, ცაცა ქიქოძის ნაკვალევზე ღირსეულად მავალი, არაჩვეულებრივი მექართულე, საუკეთესო პედაგოგი, მოძღვარი, პოეტი ასეთი ახსოვს თაობებს დალი მასწავლებელი. სულით მარად ახალგაზრდა უფროს მეგობრად მიაჩნდა აღსაზრდელებს, ხშირად სტუმრობდნენ კურსდამთავრებულები, ვერ ივიწყებდნენ საყვარელ მოძღვარს. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საგნობრივ კათედრას, იყო სკოლის პროფესიული კავშირის თავმჯდომარე. მხატვრული კითხვის უბადლო ოსტატი და არაერთი კონკურსის გამარჯვებული. უყვარდა სცენა, მისი გამოსვლა ფოლკლორულ საღამოებზე დაუვიწყარია. ღირსეული მეუღლე, არაჩვეულებრივი, შვილებზე თავგადამკვდარი დედა და გამორჩეულად სტუმართმოყვარე მასპინძელი,ნაღდი, უღალატო მეგობარი ასეთი იყო ჩვენი დალი!

იყო, რა სამწუხაროა რომ უკვე წარსულად იქცა, მოგონებებსა და ხსოვნაში გადასახლებული მარადისობას შეერწყა. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ აღარ შემოაღებს სკოლის ჭიშკარს, ჭადრების ჩრდილში არ დააყენებს ავტომანქანას და ჩანთით არ გადმოიტანს წიგნებთან ერთად ათას ნუგბარს, სამასწავლებლოშიც რომ მასპინძლობდა მეგობრებს. მისეულად არ აახმაურებს დერეფანს; იგი ერთხელ მოკვდა მაშინ, როცა მის სადამრიგებლო კლასში დაფრთიანებული, უმშვენიერესი ახალგაზრდა პედაგოგი ლია შავიშვილი გარდაგვეცვალა, როცა სიყრმის მეგობარი ნანი ჩიხრაძე დაიტირა ...

მეუღლის გარდაცვალებამ თითქოს გატეხა, მერე მთელი სევდა ტკივილი, მონატრება ლექსების კრებულში ჩააწნა და შთამომავლობას დაუტოვა ლამაზი სიყვარულის ისტორია. აღიარა, რომ არ ჰქონდა უფლება, სულიერად გატეხილიყო, მას ვალდებულებები ჰქონდა შვილების ,შვილიშვილების, აღსაზრდელთა მიმართ...

სამწუხაროდ არ დასცალდა!

ვემშვიდობებით და ლოცვით მივაცილებთ მეგობრები, მთელი სკოლა, აღზრდილები, აღსაზრდელები, მთელი სოფელი, საზოგადოება ვინც მას იცნობდა და აფასებდა!

**ბახვის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი;**
**პედაგოგთა პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია.**

ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს პედაგოგ ციალა იმედაშვილს ძმის **თამაზ იმედაშვილის** გარდაცვალების გამო.

ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს პედაგოგ ნანი გუჯაბიძეს მამის **რობერტ გუჯაბიძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთი „ალიონი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი პედაგოგის **დალი გოგიბერიძის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

# გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს!
# წმინდა გიორგის მადლი ფარავდეს თქვენს ოჯახებს და სრულიად საქართველოს!





ეროდი გორდელაძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცესო- იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე (დ)



გოჩა აბაშმაძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი (დ)



გელა ჟანუყვაძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის განყოფილების უფროსი (დ)



გიორგი ჩაგანავა,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი (დ)


## გიორგობა საქართველოში




კეკლუცი პატარძალივით ლამაზად შემოდის ყოველ წელიწადს გიორგობის ნეტარი დღე საქართველოში. იგი სხვადასხვა მნიშვნელობით წელიწადში ორჯერ აღინიშნება.

23 ნოემბერი — წმინდა გიორგის ბორბალზე წამების დღეა. მთელის მსოფლიოს ქრისტიანულ ეკლესიათა მამები, წირვა-ლოცვას აღავლენენ თავიანთ ტაძრებში დიდი მოწამის სადიდებლად. ყველაზე მეტად კი ქართველი ერი ადიდებს და ხოტბას ასხამს უძლეველ მხედართმთავარს.

საქართველოში წმინდა გიორგის სახელობის უამრავი ეკლესია არსებობს, მისი ხატების ბევრი ხელწერული სახეა შექმნილი, მრავალი თქმულება, ბალადა თუ ლექსი ითქვა და დაიწერა მასზედ., იმდენად ბევრი, რომ ბავშვობაში წმინდა გიორგი წარმოშობით ქართველი მეგონა. მარტო ოზურგეთში სამი — დვაბზუს, აჭის და ექადიის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მოქმედებს.

საქართველოს მთიანეთში მცხოვრები ქართველები, ამ წმინდანს თეთრი გიორგის სახელით მოიხსენიებენ. ბრძოლებში საომრად მიმავალ ქართველ მეომართა დედები წმინდა გიორგის გულმხურვალედ ავედრებდნენ თავიანთ შვილებს, შესთხოვდნენ მათ გამარჯვებით და უვნებლად დაბრუნებას.

წმინდა გიორგის განსაკუთრებულ თაყვანისცემას საქართველოში ჯერ კიდევ IV საუკუნის დასაწყისში დაედო საფუძველი. ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო დიდ მოწამის ბიძაშვილი იყო. ქართველმა ხალხმა სწორედ მისგან შეიტყო წმინდა გიორგის მოწამეობის შესახებ.

წმინდა გიორგი ითვლება უდიდეს მკურნალად, რომელიც ადამიანებს კურნავს სხვადასხვა სენისაგან, ათავისუფლებს ბოროტი, დემონური ძალებისაგან, გლახაკთა შემწე და ხელისამპყრობია; ამასთან, უძლეველი მხედართმთავარი.

თავის ამქვეყნიურ სიცოცხლეში წმინდა გიორგიმ ბევრი საგმირო საქმე ჩაიდინა და მრავალი მტერი დაამარცხა ზეციდან კი მეოხად გვევლინება, სწყალობს თავის მათაყვანებელ ერს, იცავს მტერებისაგან. მან აურაცხელი სასწაული მოახდინა. მრავალჯერ გაუწია დახმარება ქართველებს მტერთან ბრძოლაში. ამათგან ყველაზე მეტად აღსანიშნავია დიდგორის ბრძოლა დავით აღმაშენებლის სარდლობით თურქ-სელჯუკთა მრავალათასიანი ლაშქრის წინაამდეგ. წმინდა გიორგი განცხადებულად, ყველას დასანახად, თეთრ ცხენზე ამხედრებული წინ წარუძღვა, თვითონ უწინამძღვრა ქართველთა მცირერიცხოვან ლაშქარს; მტერიც კი განაცვიფრა ამ შემთხვევამ და შეშინებული გაიქცა. ეს კი წმინდა გიორგის უტყუარი დამსახურება იყო.

იგი დღესაც გვიცავს და გვამხნევებს.

წმინდა გიოგრის იმედი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა!

ნანა ჯანხოთელი.

## „ჩემს სათქმელს ამბობს ჩემი ნახატები“

სათაურში გამოტანილი ეს ხუთსიტყვიანი ფრაზა ოზურგეთელთა საყვარელ მხატვარს მირანდა ვანიძეს ეკუთვნის, რომელიც კდემამოსილებით გამორჩეულმა შემოქმედმა ქალმა მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში თავისი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის გახსნის დღეს, 19 ნოემბერს წარმოთქვა.

მართალი გითხრათ, როცა მოსაწვევი გადმომცეს, ცოტა შევფიქრიანდი, ცუდი პერიოდი ხომ არ შეარჩიეს-მეთქი, რადგან საგამოფენო დარბაზში ჯერ კიდევ დიდი რუსუდან ფეტვიაშვილის შემოქმედების სურნელი ტრიალებდა. საბედნიეროდ, უსაფუძვლო აღმოჩნდა ჩემი შეფიქრიანება, რადგან გამოფენილი ნამუშევრების ნატიფი კომპოზიციის ნახვით აღტაცებულმა, აქ შეკრებილმა მრავალრიცხოვანმა და მრავალფეროვანმა საზოგადოებამ არანაკლები ინტერესი გამოიჩინა და არანაკლები შეფასება მისცა მირანდა ვანიძის შემოქმედებას. რასაკვირველია, არ ვამბობ, რომ ფეტვიაშვილისა და ვანიძის შემოქმედებები ერთ სიმაღლეზე არიან (ეს ჩემს კომპეტენციას სცილდება), უბრალოდ, იმის თქვა მინდა, რომ მირანდა, როგორც მხატვარი, როგორც მომავალ ფერმწერთა დამფრთიანებელი, როგორც შესანიშნავი ოჯახის დიასახლისი, როგორც სამი შვილის ლამაზად აღმზრდელი დედა და როგორც პიროვნება, განსაკუთრებულად უყვართ ოზურგეთელებს.

ჩემი თვალთახედვით, ვანიძის პეიზაჟები საოცარი სივრცობრივობითა და უზუსტესი ნატურალურობით გამოირჩევა, იმდენად თბილია, ჰაერის ტემპერატურასაც კი შეიგრძნობ იქიდან. რაც შეეხება პორტრეტებს, თითოეული ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, ჩარჩოს გაარღვევს და დიალოგსაც გაგიმართავს, თუ მიუახლოვდები. ვანიძის ფერთა სიმფონიაში წინა პლანზეა ყვითელი ფერი, რაც არისტოკრატიულ იერს ანიჭებს მთელ მის შემოქმედებას.

გალერეაში როგორც წინა ღონისძიებების, ისე მირანდა ვანიძის ნამუშევართა გამოფენის შთამბეჭდაობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღებამ. იმ ასაკისა ნამდვილად არ ვარ, მეხსიერებას ვუჩიოდე, მაგრამ, როგორც სტაჟიანი დამთვალიერებელი, ვერ ვიხსენებ ყოფილ ხელისუფალთ, რომლებიც ისეთი რუდუნებით მოკიდებოდნენ გურიაში მოღვაწე მხატვრების პრობლემებს, როგორც ამას აკეთებენ გურიის ამჟამინდელი გუბერნატორი გია სალუქვაძე და ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე. თუ გადაჭარბებულად ნათქვამი არ გამომივა, მათ მიერ აქ გაკეთებული შეფასებებიც დიდად არ ჩამორჩება ხელოვნებათმცოდნეთა ნააზრევს.

გამოფენის დღეს გალერეაში შესვლით ადვილად შევედი, მაგრამ გამოსვლა გამიჭირდა ერთობ, დამენანა სიკეთის მარცვლით დახუნძლული ხატოვანი სამყაროს დატოვება, სადაც თითქმის ერთი საათი დავყავი. გამოსვლისას ჯიბე მოვისინჯე და გაცრეცილ საფულეს ისე ვუჩქმიტე, ხურდა ფულმა ცერა თითზე ფრჩხილი გადამიტეხა. ესაა ცხოვრება, სამოცდაოთხი ერთმანეთზე უკეთესი ნახატიდან ერთის შეძენასაც რომ ვერ შეძლებ?!

გამოფენა-გაყიდვა ერთ თვეს გასტანს. ვიმედოვნებ, ამ დროის განმავლობაში დამთვალიერებელთა უმეტესობა ჩემსავით ჯიბეგახვრეტილი არ აღმოჩნდება და ხელიდან არ გაუშვებს რეალურ შანსს — გახდეს მხატვრის ნამუშევართა მფლობელი. მირანდა ვანიძის ნებისმიერი ნახატი ხომ მშვენიერი სააახალწლო შენაძენია ოჯახისთვის, ძვირფასი საჩუქარია მეგობრისთვის.

თემურ მარშანიშვილი






## ავტომობილები განვადებით




მიცუბიში აირტეკი – 2002 წ. – 1350
პაჯერო იო – 2002 წ. – 1700
ტოიოტა ვოქსი – 2004 წ. – 1250
ტოიოტა პასსო – 2010 წ. – 1600
ტოიოტა რავ-4 – 2000 წ. – 3100
ნისან ტიიდა – 2005 წ. – 1400
ნისან მარჩი – 2004 წ. – 1000
ნისან ფუგა – 2005 წ. – 2100
ჰონდა ფიტი - 2008 წ. – 1650
ჰონდა ცრვ – 2003 წ. – 2400
ფონდა სივიკი - 2003 წ. – 1200
მაზდა დემიო – 2003 წ. – 900
მაზდა მპვ – 2004 წ. – 1100
მაზდა ტრიბუტე – 2003 წ. – 1300
სუზუკი ქარი ტრიუკი – 1999 წ. – 1150
სუბარუ ფორესტერ – 2002 წ. – 1350
სუბარუ ლეგასი – 2005 წ. – 1700
სიბარუ ოუტბაქსი – 2004 წ. – 1550
მერსედესი ე კლასი – 2003 წ. – 3700
ბმვ 525ი – 2004 წ. – 4050

ფასები მითითებულია აშშ დოლარში

მანქანის ჩამოსვლის შემდეგ იხდით კონტეინერის თანხას

ტელ. 595 11 10 30; ზურა, 598 47 47 03 დათო.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქ. №11, მე-2 საჯარო სკოლის გვერდით. (რ)


## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე +5+21 | მზე +4+20 | მზე, ღრუბელი +8+18 | მზე, ღრუბელი +7+15 | მზე, ღრუბელი +14+21 | მზე +13+20 | წვიმა +11+18 |
| 23 ნოემბერი ორშაბათი | 24 ნოემბერი სამშაბათი | 25 ნოემბერი ოთხშაბათი | 26 ნოემბერი ხუთშაბათი | 27 ნოემბერი პარასკევი | 28 ნოემბერი შაბათი | 29 ნოემბერი კვირა |